შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების

პროგრამის კომპონენტების დისტანციურად

განხორციელების წესისა და პირობების

BTA მუდმივად ზრუნავს ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე! ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ISO 9001:2015 სტანდარტის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრები და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება.

2025წ

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

დისტანციური სწავლების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს წესი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის (შემდგომ– პროგრამა) კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესს - პირობებს და მისი ეფექტიანობისათვის საჭირო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს;

1.2. წესი განსაზღვრავს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მისი ადმინისტრირებას;

1.3. დისტანციური სწავლება გულისხმობს სრულად თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, მის დისტანციური/ელექტრონული ფორმით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.

1.4. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება,ხოლო ასინქრონულიკომუნიკაცია – ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება. პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს დისტანციური სწავლების სრულად ასინქრონული ფორმით. ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად სინქრონული ან/და ასინქრონული და კონტაქტური(აუდიტორიაში) სწავლების კომბინირებულად გამოყენებას;

1.5. დაუშვებელია ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლება დისტანციური ფორმით.

1.6.დაუშვებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება დისტანციური ფორმით.

1.7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოთხოვნის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესის ორგანიზება არადისტანციური ფორმით.

1.8. სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემია იყენებს ლიცენზირებულ Zoom პლატფორმას, რომელიც შეძენილია შესაბამისი წესების დაცვით.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა

2.1.პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტით/ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით/დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განისაზღვრება პროგრამის ის კომპონენტები, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია.

2.2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის კონკრეტული კომპონენტების დისტანციური სწავლების რეჟიმში ან სასწავლო პროცესის მთლიანად დისტანციურ რეჟიმში განხორციელებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტს.

2.3. დისტანციური სწავლების შემთხვევაში ერთი გაკვეთილის მოიცავს 50 საკონტაქტო წუთს.

2.4. კოლეჯი უფლებამოსილია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენება, რათა არც ერთი პროფესიული სტუდენტი (შემდგომში სტუდენტი)/მსმენელი არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს, ამ მიზნით საჭიროების

შემთხვევაში კოლეჯში გამოყოფილ სივრცეში შესაძლებელია სტუდენტებისთვის/მსმენელისთვის შესაბამისი მომსახურების მიწოდება(მოთხოვნისამებრ);

2.5. კოლეჯი ვალდებულია დისტანციური სწავლებისას დაიცვას თითოეული სტუდენტის /მსმენელის პერსონალური მონაცემები და მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები.

2.6. კოლეჯში დაგეგმილი ექსტრაკურიკულური აქტივობები (სასერტიფიკატო კურსები, შეხვედრები, კონსულტაციები, ტრენინგები და სხვა) შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციური პლატფორმების გამოყენებით.

2.7.დისტანციური სწავლების განხორციელების მიზნით გამოიყენება ელექტრონული საშუალებები - Zoom-ის პალტფორმა, ასევე შესაძლებელია სხვა ელექტრონული პლატფორმის გამოყენება, რექტორთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

2.8.დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა/მსმენელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შერჩეული დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით შემუშავებული ინსტრუქციებით უზრუნველყოფას.

2.9.კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი სისტემატურად აწარმოებს სტუდენტთა/მსმენელთა დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას.

2.10.კოლეჯის სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენელი ვალდებულია დაადგინონ სტუდენტის/მსმენელის მიერ დისტანციური გაკვეთილის ხშირად გაცდენის მიზეზები და იმ შემთხვევაში თუ: აღნიშნული გამოწვეულია სტუდენტის/მსმენელის მხრიდან შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის (მოწყობილობისა და ინტერნეტთან წვდომის) არქონით, ამ შემთხვევაში ინფორმაცია უნდა მიაწოდოს კოლეჯის რექტორს და პრობლემის მოგვარებამდე ინდივიდუალურად განიხილოს არსებული შესაძლებლობები და დაგეგმოს ალტერნატიული ღონისძიებები სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩასართავად.

2.11.სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში მიწოდებული გრაფიკის შესაბამისად ადეკვატური გარემოდან.

2.12.. სტუდენტი/მსმენელი ონლაინ სივრცეში შემოსვლით და ჩართულობით ადასტურებს სასწავლო პროცესში მონაწილეობას.

2.13. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია მასწავლებლის ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ჩართოს ან/და გამორთოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა, ასევე ელექტრონულ პლატფორმაზე შემოსვლისას სტუდენტის/მსმენელის იდენტიფიცირების მიზნით უნდა ფიქსირდებოდეს სახელი და გვარი.

2.14..პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილის მიიღოს მონაწილეობა სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ონლაინ გამოკითხვებში და დააფიქსიროს მოსაზრება/რეკომენდაციები შემდგომი განვითარების მიზნით.

2.15. პროფესიული განათლების მასწავლებელი/გამნმახორციელებელი პირი(შემდგომში მასწავლებელი) დისტანციურ სწავლებას ახორციელებს შეთანხმებული სასწავლო განრიგის დაცვით, ასინქრონული ან სინქრონული ან შერეული მეთოდით.

2.16.მასწავლებელი ვალდებულია დაწესებულების მიერ შერჩეულ ელექტრონულ პლატფორმაში დარეგისტრირდეს, შექმნას საკუთარი ანგარიში და უზრუნველყოს ყველა სტუდენტისათვის /მსმენელისთვის დადგენილი ცხრილის მიხედვით ჩართვის ლინკის მიწოდება;

2.17.მასწავლებელი ვალდებულია დისტანციური ჩართვა განახორციელოს ადეკვატური გარემოდან;

2.18.მასწავლებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს საჭიროების შემთხვევაში ვიდეო და აუდიო მოწყობილობის ჩართვა ან გამორთვა.

2.19.მასწავლებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ონლაინ გამოკითხვებში და დააფიქსიროს მოსაზრება/რეკომენდაციები შემდგომი განვითარების მიზნით.

2.20.მასწავლებელი ვალდებულია საჭიროების სემთხვევაში განახორციელოს საკონტაქტო საათების ჩატარების ვიდეო ჩანაწერი და მიაწოდოს სასწავლო პროცესის თანამშრომლებს მოთხოვნიდან სამი

სამუშაო დღის ვადაში. ჩატარებული საკონტაქტო საათის ვიდეო ჩანაწერი ინახება 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
2.21. მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგში ჩართულ პირებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.
2.22. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და მასწავლებელთა გამოკითხვებს და გასცემს რეკომენდაციებს შემდგომი განვითარების მიზნით.

მუხლი 3.პროფესიული სტუდენტის შეფასება

3.1. დისტანციური სწავლების დროს სტუდენტთა/მსმენელთა შეფასება წარმოებს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმით მოდულების სწავლის შედეგების შესაბამისად.
3.2. მოდული, რომლის სწავლის შედეგების დისტანციური სწავლების მეთოდით შეუძლებელია მიიღწეს, მასწავლებელი სტუდენტთა/მსმენელთა სწავლებას და შეფასებას განახორციელებს კოლეჯში დასწრებით სწავლებაზე დაბრუნების დროს.
3.3. მოდული, რომლის სწავლის შედეგები დისტანციური სწავლების მეთოდით შესაძლებელია იქნას მიღწეული, მასწავლებელს შეუძლია სტუდენტთა შეფასება ჩაატაროს დისტანციურად, ასევე კოლეჯში კონტაქტური ფორმით.
3.4.დისტანციური შეფასებების ძირითადი პრინციპები შეფასების ალტერნატიული მეთოდები უნდა იძლეოდეს პროფესიულ სტუდენტების/მსმენელების მიერ მიღწეული იგივე სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობას, რაც უნდა შეფასებულიყო სწავლების ტრადიციული ფორმების გამოყენების შემთხვევაში.
3.5.ზეპირი და წერილობითი გამოცდების ჩატარება ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით:
3.5.1.ზეპირი გამოცდების ჩატარება შესაძლებელია ვიდეოკონფერენციის პლატფორმების გამოყენებით.
3.5.2.ელექტრონული ტესტირების ჩასატარებლად საჭიროა შესაბამისი კითხვების შექმნა ღია ან დახურული ფორმატით.
3.5.3.დისტანციური სწავლების პერიოდში ჯგუფური დავალებების პროექტის წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, რომელზეც განთავსებული უნდა იყოს ყველა საჭირო მონაცემები, პროექტზე მომუშავე სტუდენტების /მსმენელების სახელი გვარების ჩათვლით;
3.5.5. შეფასების შედეგები ფორმდება შესაბამის უწყისში, რომელიც შეფასების მტკიცებულებებთან ერთად ეგზავნება დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირს;
3.5.6. დისტანციურად სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში ჩართული პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ჩართოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ დაიშვება საგამოცდო პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფა

4.1. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს კმაყოფილების კვლევის ანალიზს, რომლის შედეგები განიხილება სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენლებთან და იგეგმება შემდგომი განვითარების გზები;
4.2.კითხვარების ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში საკითხების დაზუსტება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს მასწავლებლებთან და სტუდენტებთან/მსმენელებთან შეხვედრებით, როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად.
4.3. ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებები განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში და ა.შ.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დაცვა

5.1.პროფესდიული სტუდენტის/მსმენელის/პერსონალის პერსონალური მონაცემები შესაძლებელია, დამუშავებულ იქნას დისტანციურად სწავლების პროცესის უწყვეტად და ეფექტიანად განხორციელების მიზნებისთვის.

5.2. დისტანციური სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპი. ონლაინ ლექცია-სემინარები და ონლაინ-სწავლების ამსახველი სხვა მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს მათი გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ ჩართული პირების წინასწარი თანხმობით.

5.3. დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი ნებისმიერი ვიდეო ლექცია და ელექტრონული სასწავლო მასალა ეკუთვნის კოლეჯს და მასწავლებელს. ლექციის ჩანაწერი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის (მონიტორინგი, ხარისხის კონტროლი, სწავლების უზრუნველყოფა). დაუშვებელია ინტერნეტ-სივრცეში მისი გასაჯაროება ნებისმიერი ფორმით, გარდა სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის მიზნით შექმნილი დახურული სოციალურ ჯგუფებისა.

მუხლი 6. ეტიკეტის ნორმები

6.1. ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი ეტიკეტის ნორმები:

6.1.1. შეარჩიოს ონლაინ ჩართვისთვის ადეკვატური გარემო, მოულოდნელი ხმაურის შეთხვევაში კი გამორთოს მიკროფონი.

6.1.2. საკონტაქტო საათის დაწყებამდე 5-10 წუთით ადრე შეამოწმოს კომპიუტერის/ტელეფონის/ინტერნეტის გამართულობა ტექნიკური ხარვეზის თავიდან აცილების მიზნით;

6.1.3. არ დააგვიანოს ლექციაზე შესვლა;

6.1.4. საკონტაქტო საათის მსვლელობისას დაიცვას ეთიკის და კომუნიკაციის წესები;

6.1.5. გააკონტროლოს ჩართვის დროს არ გამოჩნდეს კამერაში არასასურველი გამოსახულება;

6.1.6. დაიცვას დისკუსიის წესები (ერთმანეთის მოსმენა, დროის განაწილება, რეგლამენტი, შეკითხვების დასმა და ა.შ.);

6.1.7. თავი შეიკავოს იუმორისა და სარკაზმისაგან, პატივი სცეს სხვის აზრს;

6.1.8. არ გააზიაროს პერსონალური ინფორმაცია;

6.1.9. დისტანციური სწავლების პროცესში დაიცავით დისკუსიის პანელის ეტიკეტი, რაც გულისხმობს მხოლოდ საკითხთან მიმართებაში დასმული კითხვებს, საკითხების დაზუსტება უნდა მოხდეს მასწავლებელთან და არა ჯგუფის წევრებთან;

6.1.10. აკრძალულია ჟარგონის, ბარბარიზმების, სლენგის გამოყენება;

6.1.11. წერილის გაგზავნამდე გაასწოროს გრამატიკული შეცდომები;

6.1.12. თავი შეიკავოს არაადეკვატური, დამამცირებელი და უადგილო ემოციის გამომხატველი სიმბოლოების და კომენტარების გამოყენებისაგან;

6.1.13. ონლაინ კომუნიკაცია შეიძლება საფუძველი გახდეს გაუგებრობის, რადგან ამ დროს ადამიანებს არ შეუძლიათ დაგინახონ და ასევე, თუ არ გიცნობენ, შესაძლებელია თქვენი შეტყობინება არასწორად აღიქვან. ამიტომ მაქსიმალურად შეეცადეთ იყოთ პოზიტიურები და გაითვალისწინოთ: დაფიქრდით, სანამ იტყვით; დაფიქრდით, სანამ დაწერთ;

6.1.14. მოითხოვეთ დამატებით განმარტება - თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული რომ სწორად გაიგეთ მოწერილი, სთხოვეთ, რომ დამატებით განგიმარტონ.

6.1.15. დაწერეთ/ განათავსეთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რისთვისაც გამოიყენება ერთიანი საკომუნიკაციო სისტემები;

6.1.16. არ გამოაქვეყნოთ საჯარო/დახურულ ინტერნეტ-სივრცეში პირადი ინფორმაცია, სხვისი ფოტო, ვიდეო დაუკითხავად.

6.2. წინამდებარე წესების დარღვევა ჩაითვლება შრომის შინაგანაწესის/ეთიკის კოდექსის დარღვევად, ამ შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია იმოქმედოს გაფორმებული ხელშეკრულების და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. აღნიშნულ წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია რექტორის ბრძანებით.